1. დააკვირდით ილუსტრაციას, ამოიცანი მზის სისტემაში შემავალი პლანეტები და შეუსაბამე სახელი პლანეტებს



იუპიტერი	მერკური	ნეპტუნი	მარსი	დედამიწა
ვენერა		ურანი	სატურნი	

2. დაალაგეთ მზის სისტემის შიდა და გარე პლანეტები მზიდან დაშორების მიხედვით თანამიმდევრობით

შიდა პლანეტები	მ	ვ	დ	მ
გარე პლანეტები	ი	ს	უ	ნ

იუპიტერი	მერკური	ნეპტუნი	მარსი	დედამიწა
ვენერა		ურანი	სატურნი	

LIVEWORKSHEETS

3. ამოიცანი მზის სისტემის პლანეტები აღწერილობის მიხედვით

რომაულ მითოლოგიაში ზღვის ღმერთს ერქვა, მას 14 ბუნებრივი თანამგზავრი ჰყავს, მზიდან დაშორებულია 4497 მლნ კმ-ით და ერთ სრულ შემოვლას 165 წელს ანდომებს	
რომაულ მითოლოგიაში სამყაროს მბრძანებელი,უმაღლესი ღმერთი იყო. ჭექა-ქუხილისა და ელვის მმართველი იყო, ასევე მას მიიჩნევდნენ რომის სახელმწიფოს მმართველად. მზიდან დაშორებულია 778 მლნ კმ-ით. მზის ირგვლივ ერთ სრულ შემოვლას 12 წელი ანდომებს და ჰყავს ყველაზე მეტი ბუნებრივი თანამგზავრი- 67	
რომაულ მითოლოგიაში ვაჭრობის ღმერთი, მას არ ჰყავს ბუნებრივი თანამგზავრი. ის მზესთან ყველაზე ახლოსაა და მზის ირგვლივ ერთ სრულ შემოვლას 88 დღე -ღამეს ანდომებს	
ბერძნულ მითოლოგიაში ცის ღმერთია. მზიდან დაშორების მიხედვით მეშვიდეა. ის გარე პლანეტაა და 27 თანამგზავრი ჰყავს. ის ყინულის გიგანტია, მოლურჯო - მომწვანო ფერია. ის თითქოს „გვერდულად“ წევს და ისე მოძრაობს მზის ირგვლივ. მზის ირგვლივ ერთ სრულ შემობრუნებას 84 წელი ანდომებს.	
მზიდან დაშორების მიხედვით მესამე ხოლო მზის სისტემაში სიდიდით მეხუთე პლანეტაა. მას ერთი ბუნებრივი თანამგზავრი, მთვარე ჰყავს. მზის ირგვლივ ერთ სრულ შემობრუნებას 365 დღე-ღამესა და 6 საათს ანდომებს. ის ცისფერი პლანეტაა და ერთადერთია მზის სისტემაში რომელზედაც სიცოცხლეა.	
სახელი რომაულ მითოლოგიაში ომის ღმერთის საპატივცემულოდ ეწოდა. ის წითელი პლანეტაა და შიდა პლანეტებს შორის, მზიდან ყველაზე შორს მდებარეობს. მზის ირგვლივ ერთ სრულ შემობრუნებას 687 დღე-ღამეს ანდომებს. მას ორი თანამგზავრი ჰყავს. მასზე მზის სისტემაში ყველაზე მაღალი მწვერვალი „ოლიმპო“ მდებარეობს	
რომაულ მითოლოგიაში მიწათმოქმედების მფარველის სახელი ჰქვია. მზის სისტემის სიდიდით მეორე პლანეტაა. თავისი მიზიდულობის ძალით ის 62 თანამგზავრს აკავებს. სხვა გარე პლანეტების მსგავსადა მასაც კარგად გამოხატული ყინულის რკალი აკრავს გარს. მზის ირგვლივ ერთ სრულ შემობრუნებას 30 წელი ანდომებს.	
სახელი რომაული მითოლოგიიდან სიყვარულის ქალღმერთის საპატივცემულოდ ეწოდა. ის მზის სისტემაში ყველაზე ცხელი პლანეტაა. საკუთარი ღერძის ირგვლივ აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მოძრაობს. მზიდან დაშორების მიხედვით მეორე პლანეტაა და მზის ირგვლივ ერთ სრულ შემობრუნებას 225 დღე-ღამეს ანდომებს. არ გააჩნია არც ერთი ბუნებრივი თანამგზავრი. მისი ზედაპირი დაფარულია სხვადასხვა სახის ვულკანური წარმოშობის ქანებით	

ვენერა | სატურნი | მარსი | დედამიწა | ურანი

მერკური | იუპიტერი | ნეპტუნი

LIVEWORKSHEETS

4. წაიკითხეთ მტკიცებულებები და ამოიცანით რომელი პლანეტაა ის

1. ეს პლანეტა ყველა სხვა პლანეტისგან განსხვავებით თავისი ღერძის გარშემო პირუკუღმა ბრუნავს. _____

2. ამ პლანეტაზე მდებარეობს მთა, რომელიც ყველაზე მაღალია მზის სისტემაში _____

3. იგი სიდიდით მეორე პლანეტაა მზის სისტემაში _____

4. ერთადერთი პლატენაა მზის სისტემაში, სადაც სიცოცხლეა _____

5. იმდენად ნათელი და კაშკაშა პლანეტაა, რომ ხშირად „მფრინავი თეფში“ ჰგონიათ _____

6. ყველაზე პატარა პლანეტაა მზის სისტემაში _____

7. აქ ყველაზე ძლიერი ქარიშხლები იცის. ქარის სიჩქარე საათში 2200 კმ-ია _____

8. დედამიწიდან ამ პლანეტის ორი ფართო რგოლის დანახვა შეიძლება, რომლებიც სინამდვილეში რამდენიმე წვრილი რგოლისგან შედგება _____

9. ერთადერთი პლანეტა მზის სისტემაში, რომელიც თითქოს „გვერდზე წამოწოლილი“ ბრუნავს._____

10. ის ქვის ყინულოვანი ბურთია და 2006 წლიდან პლანეტად აღარ მიიჩნევა_____

11. ძალიან ცივი პლანეტაა _____

12. მისი 67 თანამგზავრიდან 4 გალილეო გალილეიმ აღმოაჩინა _____

13. ამ პლანეტაზე დღისით ძალიან ცხელა, ღამით კი საშინლად ყინავს. _____

LIVEWORKSHEETS